ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302328663**
თარიღი: **13/10/2023**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N60 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, წერილობითი განცხადებით (განცხადების N13/302328333-30 თარიღი: 10.10.2023) მომართა შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ (ს/ნ 433654397) დირექტორმა ეკატერინე ჩუბინაშვილმა, რომელმაც ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე, ითხოვა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106^1 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N60 განკარგულების საფუძველზე, შპსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული მოძრავი ქონების, საკუთრებაში გადაცემა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიზანშეწონილობის საფუძველზე, მომზადდა ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N60 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,

რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსის ვარდენ კვაჭაძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი:**08-302328418**
თარიღი: **11/10/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

2023 წლის 10 ოქტომბერს შემოსულია შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ დირექტორის ეკატერინე ჩუბინაშვილის წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული (დანართის შესაბამისად) მოძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა.

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის პოზიციაა, ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 106[1] მუხლის 6 ნაწილის მიხედვით შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრს“ საკუთრებაში გადაეცეს დანართით მოთხოვნილი მოძრავი ქონება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს მომზადოს ბრძანება შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის დანართით განსაზღვრული მოძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ და გააუქმოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 1 სექტემბრის №30. 3023244001 ბრძანება (,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“)

დანართი: 1 pdf

ირაკლი ხუხუნაიშვილი

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი

შ.პ.ს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“
LTD Tourism and Agriculture Promotion Center

433654397 ქალაქი ლანჩხუთი, ნინოშვილის ქუჩა N37 ტელ: 568 74 41 14
tourcenter77@gmail.com

N39

10.10.2023

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

გთხოვთ გადმოგვცეთ საკუთრებაში ცენტრის ბალანსზე განკარგვის უფლებით შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ ფუნქციონირებისთვის აუცილებელი მომრავი ქონება.

ასევე ტურიზმის ხელშეწყობის და განვითარების მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩოჩხათის თემში მდ. სუფსაზე სანაოსნო (საჯომარდო) ტურებისთვის შეძენილი ნავები თავისი აღჭურვილობით და საძილე კარვებით, პროექტით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპიკნიკე სივრცე მასში არსებული ორი ფანჩატურით და სველი წერტილი.

იხილეთ დანართი:
2 (ორი) ფურცელი

შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის
ხელშეწყობის ცენტრის“ დირექტორი

/ეკატერინე ჩუბინაშვილი/

433654397

დანართი 1

N	მოძრავი ქონების დასახელება	მოძრავი ქონების რაოდენობა	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება (ლარებში)	ამჟამინდელი საბალანსო ღირებულება (ლარებში)	შენიშვნა
1	კომპიუტერი	1	1700	150	
2	კომპიუტერი	1	900	150	
3	კომპიუტერი	1	800	50	
4	კონდიციონერი	1	900	320	
5	ნოუთბუქი	1	900	150	
6	ნოუთბუქი HP	1	1540	1540	
7	სტანდარტული ლეპტოპი	1	1119	690	
8	პრინტერი	1	250	50	
9	კომბაინი პრინტერი	1	550	50	
10	კონდიციონერი „HYUNDAI"	1	1139,98	450	
11	მაგიდა	2	260	50	
12	კომპიუტერის მაგიდა	4	800	670	
13	საოფისე მაგიდა თეთრი	4	900	790	
14	სკამი საოფისე თეთრი	12	480	380	
15	სავარძელი	1	190	115	
16	საოფისე თარო	1	150	130	
17	საოფისე თარო	3	135	114	
18	კარადა	1	300	254	
19	საჯომარდო ნავი (7	2	7600		

	ადამიანისათვის)		(თითოეული 3800)		
20	საჯომარდო ნავი (5 ადამიანისათვის)	2	6 800 (თითოეული 3400)		
21	გიდის ნიჩაბი	4	1200 (თითოეული 300)		
22	ნიჩაბი	22	3080 (თითოეული 140)		
23	სამაშველო ჯილეტი +70 (კგ)	14	1540 (თითოეული 110)		
24	სამაშველო ჯილეტი - 70 (კგ)	12	1200 (თითოეული 100)		
25	სამაშველო ჩაფხუტი	26	3640 (თითოეული 140)		
26	ნავის გასაბერი ხელის ტუმბო (4 ლიტრიანი)	1	92		
27	ნავის გასაბერი ელექტრო ტუმბო	1	400		
28	კარავი (4 ადამიანზე)	2	900 (თითოეული 450)		

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ30. 3023244001**
თარიღი:**01/09/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის", პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ" ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებისა და ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N60 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გადაეცეს შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრს" (ს/კ 433654397), მისი არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, დანართი N1-ის შესაბამისად.

2. დაევალოს მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურს, სარგებლობის უფლების გადაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ოფიციალურად გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი"–ს VIII თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

განკარგულება:**g-31. 3123236001**
თარიღი:**24/08/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №60

2023 წლის 24 აგვისტო

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრს“ (ს/კ 433654397), მისი არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, დანართი N1 შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი 1

N	მოძრავი ქონების დასახელება	მოძრავი ქონების რაოდენობა	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება (ლარებში)	ამჟამინდელი საბალანსო ღირებულება (ლარებში)	შენიშვნა
1	კომპიუტერი	1	1700	150	
2	კომპიუტერი	1	900	150	
3	კომპიუტერი	1	800	50	
4	კონდიციონერი	1	900	320	
5	ნოუთბუქი	1	900	150	
6	ნოუთბუქი HP	1	1540	1540	
7	სტანდარტული ლეპტოპი	1	1119	690	
8	პრინტერი	1	250	50	
9	კომბაინი პრინტერი	1	550	50	
10	კონდიციონერი „HYUNDAI”	1	1139,98	450	
11	მაგიდა	2	260	50	
12	კომპიუტერის მაგიდა	4	800	670	
13	საოფისე მაგიდა თეთრი	4	900	790	
14	სკამი საოფისე თეთრი	12	480	380	
15	სავარძელი	1	190	115	
16	საოფისე თარო	1	150	130	
17	საოფისე თარო	3	135	114	
18	კარადა	1	300	254	
19	საჯომარდო ნავი (7 ადამიანისათვის)	2	7600 (თითოეული 3800)		
20	საჯომარდო ნავი (5 ადამიანისათვის)	2	6 800		

			(თითოეული 3400)		
21	გიდის ნიჩაბი	4	1200 (თითოეული 300)		
22	ნიჩაბი	22	3080 (თითოეული 140)		
23	სამაშველო ჯილეტი +70 (კგ)	14	1540 (თითოეული 110)		
24	სამაშველო ჯილეტი - 70 (კგ)	12	1200 (თითოეული 100)		
25	სამაშველო ჩაფხუტი	26	3640 (თითოეული 140)		
26	ნავის გასაბერი ხელის ტუმბო (4 ლიტრიანი)	1	92		
27	ნავის გასაბერი ელექტრო ტუმბო	1	400		
28	კარავი (4 ადამიანზე)	2	900 (თითოეული 450)		

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
2023 წლის ოქტომბერი
ქ. ლანჩხუთი

,, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N60 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N60 განკარგულება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე